საქართველოს მთავრობის

დადგენილება №771

2020 წლის 22 დეკემბერი

ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესის, პირობებისა და სანებართვო მოწმობების ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №426 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 340170000.10.003.016167) შეტანილ იქნეს ცვლილება და 1^1 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 1^1.** მიეცეს უფლება სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს, ამ დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ნებართვების გაცემის წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტიდან გამონაკლისის სახით ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქციის იმპორტის ნებართვა გასცეს:

ა) საერთაშორისო სამგზავრო მიმოსვლის შეჩერების ან საერთაშორისო მიმოსვლასთან დაკავშირებული შეზღუდვების არსებობის პერიოდში, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული დისტანციური ინსპექტირების საფუძველზე, რომლის წესს განსაზღვრავს სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო;

ბ) ამ დადგენილების ამოქმედებიდან 60 (სამოცი) დღის განმავლობაში, ადგილზე ინსპექტირებისა და კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ჩატარებული დისტანციური ინსპექტირების გარეშე, არაკეთილსაიმედო ქვეყნების ნუსხაში არსებული ქვეყნის იმ საწარმოდან იმპორტირებულ პროდუქციაზე, რომელსაც სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირის მიერ ჩატარებული ვეტერინარულ-ინსპექტორული კონტროლის საფუძველზე ჰქონდა იმპორტის განხორციელების უფლება ერთი წლის ვადით და ეს ვადა ამოიწურა 2020 წლის პირველი მარტიდან ამ დადგენილების ამოქმედებამდე პერიოდში.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი გახარია**